

განმავითარებელი შეფასების გავლენა მოსწავლეთა საგაკვეთილო  
პროცესში ჩართულობასა და აკადემიურ მოსწრებაზე  
ქ. რუსთავის ილია ჭავჭავაძის სახელობის 1-ლი საჯარო სკოლის VII  
კლასში

თამთა ასანიძე

მაგდა ნათაძე

ხატია მეკოვიშვილი

*ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და  
განათლების ფაკულტეტზე განათლების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების  
მოთხოვნების შესაბამისად*

განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა  
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი სოფიო გორგოძე



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

## განაცხადი

*„როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“*

ხატია მეკოკიშვილი

თამთა ასანიძე

მაგდა ნათაძე

26.06.2019

## მადლობა

მადლობას ვუხდით ქ.რუსთავის ილია ჭავჭავაძის სახელობის #1 საჯარო სკოლის დირექტორს კვლევის პროცესში გაწეული დახმარებისთვის. აგრეთვე, ამავე სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგსა და მე-7 კლასის თითოეულ მოსწავლეს აქტიური თანამშრომლობისთვის.

მადლობას ვუხდით, ჩვენი პრაქტიკის კვლევის ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს, სოფიო გორგოძეს, რომელიც კვლევის განმავლობაში საჭიროებისამებრ გვამღებდა კონსტრუქციულ უკუკავშირს.

აგრეთვე, განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულებს: თათული მგელაძეს, მათა ლორთქიფანიძეს, სალომე ხურციძეს, ხათუნა სტეფლიანს, ანა გაფრინდაშვილსა და ანა გიორგაძეს, იმისთვის, რომ მოგვცეს უფლება მათ მიერ შექმნილი კვლევის ინსტრუმენტები მოდიფიცირებული სახით გამოგვეყენებინა.

## აბსტრაქტი

ნაშრომი წარმოადგენს საბაზო საფეხურზე ჩატარებული პრაქტიკის კვლევის ანგარიშს. კვლევის მიზანი იყო დაგვედგინა, როგორ გავლენას ახდენს განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების გამოყენება სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლის ჩართულობასა და აკადემიურ მოსწრებაზე. კვლევა ჩატარდა შერეული (რაოდენობრივი და თვისებრივი) მეთოდით და მოიცავდა ოთხ ეტაპს: საკვლევი პრობლემის ინდენტიფიცირება, დიაგნოსტიკა, ინტერვენციების დაგეგმვა/განხორციელება და შეფასება. კვლევის საწყის ეტაპზე, პედაგოგთან კონსულტაციის დროს განისაზღვრა საკვლევი საკითხი. დიაგნოსტიკის ეტაპზე კი მასწავლებელთან და სამიზნე ჯგუფთან ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარის მეშვეობით შეფასდა არსებული მდგომარეობა. შედეგად, დაიგეგმა ინტერვენციების ციკლი, რაც მოიაზრებდა: პედაგოგისთვის განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების მიწოდება/შეთავაზებას, საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებას, მასწავლებლის რეფლექსიასა და მკვლევარი სტუდენტების მხრიდან უკუკავშირს. შეფასების ეტაპზე, კვლევაში ჩართულ მასწავლებელთან ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუ, მოსწავლეები კი გამოიკითხნენ ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარისა და ფოკუს-ჯგუფის მეშვეობით. კვლევაში მონაწილე მასწავლებლისა და მოსწავლეების თქმით, განმავითარებელი შეფასების აქტივობების ხშირი გამოყენება ზრდის მოსწავლეთა ჩართულობას სასწავლო პროცესში და პოზიტიურ გავლენას ახდენს მათ აკადემიურ მოსწრებაზე. კვლევა დაეხმარა მასწავლებელს განმავითარებელი შეფასების პრაქტიკაში გამოყენება/დანერგვის აუცილებლობასა და მნიშვნელობის გათვითნობიერებაში; მიიღო საჭირო ინფორმაცია განმავითარებელი შეფასების აქტივობების შესახებ; დაუახლოვდა მოსწავლეებს და უკეთ გაანალიზა მათი საჭიროებები. მოსწავლეებისთვის სასწავლო გარემო გაუმჯობესდა; გაკვეთილი გახდა საინტერესო, სახალისო და ინტერაქციული; დაუახლოვდნენ როგორც ერთმანეთს, ისე მასწავლებელს.

ძირითადი საძიებო სიტყვები: განმავითარებელი შეფასება, აკადემიური მოსწრება, ჩართულობა, უკუკავშირი.

## Abstract

The following paper is a report on practice based research carried out at the basic level of general educational institution. The main aim of the research was to find out how the formative assessment tools affect students engagement and academic performance. The research was conducted using the mixed methods approach and included four phases: Identification of the problem; Diagnostic; Planning /Implementation of the interventions and Assessement.

At the initial stage, the research question was developed throughout the consultations with the teacher. At the diagnostic stage, the current situation was evaluated by semi-structured questionnaire with the teachers and the students of the target group. Afterwards, the cycle of interventions was planned, which included: providing the teachers with the assessment tools; lesson observations; teacher's self reflections and researchers' feedbacks. In evaluation phase, in-depth interview was conducted with the teacher; the students were interviewed by semi-structured questionnaires and in focus groups.

According to the statements of the participant teacher and students, frequent usage of formative assessment activities increase students' engagement in learning process and has a positive impact on their academic performance.

The research helped the teacher to understand the necessity and importance of formative assessment in practice. The teacher received the necessary information on the tools of formative assessment, strengthened relationships with the students and better analyzed their

learning needs. As for students, their learning environment was improved, teaching / learning process became more interesting, entertaining and interactive. Closer relationships were built between students, as well as between students and teacher.

***Key Words:*** Formative Assessment, Academic Achievement, Participation, Impact on Academic Performance, Feedback